



ონის მუნიციპალიტეტის მერია

ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

ქ. ონი



N 181
03/02/2020

181-02-4-202002030927



ონის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის - მერის თანაშემწის თინათინ ვლასოვისთვის დამატებითი ფუნქციების დაკისრების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 50 მუხლის პირველი პუნქტისა და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, **გბრძანებ:**

1. ონის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს - მერის თანაშემწეს თინათინ ვლასოვს, 2020 წლის 1 თებერვლიდან 1 მარტამდე, დაეკისროს შემდეგი დამატებითი ფუნქციების შესრულება:
 - ა) მერის დავალებების განაწილება და შესრულებაზე ზედამხედველობა;
 - ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მერის ცალკეული დავალებების შესრულება.
2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების გარდა მიეცეს სახელფასო დანამატი 800 ლარის ოდენობით.
3. ბრძანება ძალაშია 2020 წლის 1 თებერვლიდან.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ემზარ საბანაძე

მუნიციპალიტეტის მერი

